

შპს

„ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“

სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე
თამბაქოს მოხმარების წესი

ბათუმი

2019

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები	3
მუხლი 2. თამბაქოს ნაწარმის, აქსესუარისა და მისი მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაციისა და განლაგების აკრძალვა.....	3
მუხლი 3. თამბაქოს მოხმარების აკრძალვა.....	3
მუხლი 4. თამბაქოს მოხმარების წესის კონტროლზე პასუხისმგებელი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეული	4
მუხლი 5. პასუხისმგებლობა	4
მუხლი 6. დასკვნითი დებულებები.....	4

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესის მიზანია შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“-ს (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტი) სტუდენტებისა და დასაქმებულ პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, თამბაქოს მოხმარების მავნე თვისებების შესახებ ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება.
2. წინამდებარე წესი შემუშავებულია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია აღნიშნული კანონით.
3. წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა როგორც სტუდენტებისა და დასაქმებული პერსონალისთვის, ასევე, სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის.
4. სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიას მიეკუთვნება ქ.ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის 237-ში განთავსებული სასწავლო უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობა, მისი მიმდებარე ეზოს ჩათვლით.
5. თამბაქოს მოხმარებისათვის განკუთვნილ სპეციალურ ადგილად მიიჩნევა ტერიტორია, სადაც გამოკრულია შესაბამისი ნიშანი.

მუხლი 2. თამბაქოს ნაწარმის, აქსესუარისა და მისი მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაციისა და განლაგების აკრძალვა

1. სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარისა და თამბაქოს მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაცია და განლაგება.
2. სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია ამ მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული პროდუქციის ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების საშუალებით დარიგება და ნებისმიერი ფორმით გათამაშება, აგრეთვე, მისი პოპულარიზაცია.

მუხლი 3. თამბაქოს მოხმარების აკრძალვა

1. სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, გარდა თამბაქოს მოხმარებისათვის განკუთვნილი სპეციალური ადგილისა, აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის ნებისმიერი ფორმით მოხმარება.
2. გარდა სპეციალურად განსაზღვრული ადგილისა, თამბაქოს ნაწარმის მოხმარების დემონსტრირება დასაშვებია მხოლოდ მისი მავნე თვისებების შესახებ ჩატარებული თემატური შეხვედრის ფარგლებში.
3. სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაუშვებელია თამბაქოს მოხმარების ნარჩენების განთავსება, გარდა შესაბამისი სანაგვე ურნისა.

მუხლი 4. თამბაქოს მოხმარების წესის კონტროლზე პასუხისმგებელი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეული

1. წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახური.
2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები ვალდებული არიან სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არ დაუშვან ამ დებულების მე-2 მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული პროდუქციის რეალიზაცია, განლაგება ან/და პოპულარიზაცია.
3. უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები ვალდებული არიან სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, გარდა თამბაქოს მოხმარებისათვის განსაზღვრული სპეციალური ადგილისა, არ დაუშვან თამბაქოს ნაწარმის ნებისმიერი ფორმით მოხმარება, ხოლო ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობონ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა

1. წინამდებარე წესის მე-2 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს დამრღვევი პირის დაჯარიმებას 100 ლარის, ხოლო იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში - 500 ლარის ოდენობით.
2. წინამდებარე წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს დამრღვევი პირის დაჯარიმებას 25 ლარის, ხოლო იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში - 50 ლარის ოდენობით.
3. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის ან/და დასაქმებული პერსონალის მიერ წინამდებარე წესის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობისა, დამრღვევ პირს დაეკისრება შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობა.
4. წინამდებარე დებულების შეუსრულებლობის საფუძველზე, სასწავლო უნივერსიტეტის დაჯარიმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია დამრღვევი პირისგან რეგრესის წესით მოითხოვოს დაკისრებული ჯარიმის თანხა.
5. სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული პირის დაჯარიმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია შრომითი ანაზღაურებიდან დაუქვითოს დამრღვევ პირს ჯარიმის თანხა.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, მისი ძალადაკარგულად გამოცხადება ან/და ახალი რედაქციის დამტკიცება ხორციელდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.

2. წინამდებარე წესით განსაზღვრული ნორმები არ ვრცელდება აღნიშნული წესის დამტკიცებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.